Capadur DecorLasur

გარემოსათვის უსაფრთხო, წყალხსნადი ხის ლაზური პოლიურეთანის ბაზაზე.
ექსტერიერსა და ინტერიერში გამოსაყენებლად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

გამოიყენება სტაბილური ზომის მქონე ხის ელემენტების (ფანჯრები, კარები), ნაწილობრივ სტაბილური ზომის მქონე ხის ელემენტების (დარაბები, კოტითა და ღარით გადაბმული ხის მოლარტყვა, ჭიშკრები და ა.შ.) და არასტაბილური ზომის მქონე ხის ელემენტების (ღობე, ყავარი, აივნის მოაჯირი, პერგოლა და ა.შ.) დასაფარად და დასაცავად, შიდა და გარე სივრცეებში. ფილების მაგვარი მასალების (მაგ. მასიური ხის ფილები, საავეჯე ფანერის ფილები) დაფარვამდე გაითვალისწინეთ BFS-ინსტრუქცია Nr. 18 აბზ. 2.2.3 ff.

ექსტერიერში გამოყენებისათვის Capadur DecorLasur-ი შესაძლებელია გაძლიერდეს Caparol-Fungizid-ით, რაც უზრუნველყოფს ზედაპირის დროებით დაცვას სოკოებისა და წყალმცენარეებისაგან. Caparol-Fungizid-ი მოქმედებს როგორც პრევენციული დამცავი აპკი. ბიოლოგიური დატვირთვებიდან გამომდინარე, უკიდურესად მაღალი რისკის მქონე ხის მასალებზე (მაგ. ფიჭვის ფანერა, OSB-ს ფილები) უნდა გაითვალისწინოთ, რომ შესაძლებელია სოკოების ხელახალი წარმოქმნა - საექსპლუატაციო ვადის გასვლამდე. არ გამოიყენოთ Capadur DecorLasur-ი Caparol-Fungizid-თან ერთად - ინტერიერსა და საბავშვო სათამაშოებზე!

თვისებები

- წყალხსნადი
- გარემოსათვის უსაფრთხო
- არა წებვადი
- დიფუზიის მაღალი უნარით
- მაღალი ელასტირურობა
- გამოდგება ბავშვების სათამაშოებისთვის, DIN EN 71-3 სტანდარტის შესაბამისად

მასალის შემკვრელი

PU-აკრილის დისპერსია

შეფუთვა

- **სტანდარული ფერები:**
  750 მლ, 2,5 ლ, 5 ლ.
- **ColorExpress:**
  375 მლ, 750 მლ, 2,5 ლ, 5 ლ.

ფერი

- **სტანდარტული ფერები:**

გამჭვირვალე (Farblos), თეთრი (Weiß), ფიჭვი (Kiefer), მუხა (Eiche), მაჰაგონი (Mahagoni), თხილის ხე (Nussbaum), პალისანდრი (Palisander), ტექტონა (Teak), კაკალი (Walnuss),

ColorExpress-სადგურების (Capamix) მეშვეობით შესაძლებელია შეფერადდეს 3D კოლექციის 89 განსაკუთრებულ ფერში, ისევე როგორც სხვა კოლექციების მრავალ ფერში.

CAPAROL

მითითება: ზოგირთი ფერის გარე სივრცეში გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. ინფორმაციას ამის შესაახებ მიიღებთ ColorExpress-სადგურების მეშვეობით. ექსტერიერში, გამჭვირვალე Capadur DecorLasur-ი გამოიყენება მხოლოდ როგორც საგრუნტი ფენა ფერადი ლაზური ქვეშ, ან საბოლოო ფენა მუქი ფერის ლაზურზე, რადგანაც სხვა შემთხვევაში ვერ ხდება ულტრაიისფერი სხივებისგან დაცვის უზრუნველყოფა.
არ გამოიყენოთ გამჭვირვალე ლაზური ღია ცის ქვეშ მდებარე ზედაპირებზე.

სიპრიალის ხარისხი

აბრეშუმისებრი-მბზინვარე
მბზინვარების ხარისხი დამოკიდებულია დასამუშავებელი ხის ზედაპირზე.

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მჭიდროთ დახურულ შეფუთვაში.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმკვრივე: დაახლ. 1,05 გ/სმ³.
- მყარი ნაწილაკების შემცველობა: დაახლ 35%

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

სტაბილური, ნაწილობრივ სტაბილური და არასტაბილური ზომის მქონე ხილ ელემენტები. ზედაპირი უნდა იყოს მყარი, მშრალი, სუფთა, მასზე არ უნდა იყოს ადჰეზიურობის ხელის შემშლელი ნივთიერებები. სტაბილური ზომის მქონე ხის ელემენტების ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 13%-ს, ხოლო ნაწილობრივ და არასტაბილური ზომის მქონე ელემენტების 15%-ს. გაითვალისწინეთ მერქნის დაცვის კონსტრუქციული პრინციპები. ისინი წარმოადგენენ წინაპირობას საფარი მასალებით მერქნის ხანგრძლივი დაცვისათვის. თეთრად შეფერადებული ლაზურით დაფარვისას, არახელსაყრელი პირობების შემთხვევაში, ხის შემადგენელმა ნივთიერებებმა შესაძლოა გამოიწვიონ ზედაპირის გაყვითლება.

ზედაპირის მომზადება

ახალი ხის ზედაპირები: ხის ზედაპირები გაიშლიფოს ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გადსუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი). ექსტერიერში გაიჟღინთოს Capacryl-Holzschutz-Grund-ით.

ძველი ხის ზედაპირები: განაცრისფრებული, გამოფიტული ზედაპირი დამუშავდეს ზუმფარის ქაღალდით, ჯანმრთელ, მზიდუნარიან მერქნამდე., გაიწმინდოს საფუძვლიანად. ექსტერიერში გაიჟღინთოს Capacryl-Holzschutz-Grund-ით.

ხის ზედაპირები დანაფარებით: არამზიდი დანაფარები მთლიანად მოშორდეს. ექსტერიერში გაიჟღინთოს Capacryl-Holz-schutz-Grund-ით. მყარი დანაფარები დამუშავდეს ზუმფარის ხაღალდით, გაიწმინდოს და შემოწმდეს Capadur DecorLasur-თან თავსებადობაზე.

სოკოვანი დაბინძურების მქონე ან წყალმცენარიანი ზედაპირები (პრევენციული დაცვა): ზედაპირი მოამზადეთ შესაბამისად. Capadur DecorLasur-ს დაუმატეთ მოცულობის 6% Caparol-Fungizid-ი და კარგად ამოურიეთ. გაითვალისწინეთ Caparol-Fungizid-ის ტექნიკური ინფორმაცია. სოკოვანი დაბინძურების მქონე ან წყალმცენარიანი ზედაპირები: საფუძვლიანათ მოირეცხოს წყლის ჭავლით. ზედაპირი დაამუშავეთ Capatox-ით. Capadur DecorLasur-ს დაუმატეთ მოცულობის 6% Caparol-Fungizid-ი და კარგად ამოურიეთ. გაითვალისწინეთ Caparol-Fun-gizid-ის და Capatox-ის ტექნიკური ინფორმაცია.

დატანის მეთოდი

საჰაერო მიფრქვევის წესები:

	Ø ნახვრეტის სისქე	ჭავლის წნევა	ჰაერის წნევა	გაზავება
უჰაერო (Airless)	0,23–0,28 მმ	160-180 ბარ	-	
Airmix/Aircoat	0,23–0,28 მმ	60-90 ბარ	1-2,5 ბარ	მაქს. 5%
Feincoat	1,3–1,8 მმ	-	დაახლ. 0,5 ბარ	10-25%
მაღალი წნევით	1,5 მმ	-	2-4 ბარ	10-25%

დაფარვის თანმიმდევრობა

მასალის მომზადება:
Capadur DecorLasur-ი გამოყენებამდე კარგად ამოურიეთ. Capadur DecorLasur-ის დატანა შესაძლებელია ფუნჯით ან მიფრქვევის მეთოდით. მიფრქვევით დატანისთვის გაათხელეთ წყლით. Capadur DecorLasur-ის და Caparol-Fungizid-ის ნარევის მიფრქვევით დატანა არ შეიძლება.

დაფარვის თანმიმდევრობა:		
	ექსტერიერი [1]	**ინტერიერი**
	სტაბილური, ნაწილობრივ სტაბილური და არასტაბილური ზომის მქონე ხილ ელემენტები	
საგრუნტი ფენა	Capacryl Holzschutz-Grund	Capadur DecorLasur
შუალედური ფენა	2 x Capadur DecorLasur	არ არის საჭირო
საბოლოო ფენა	Capadur DecorLasur	Capadur DecorLasur

[1] UV-სხივებისგან ოპტიმალური დაცვისათვის საჭიროა 3 ფენა "ფერადი" ლაზურის დატანა.

ხარჯი

გლუვ ზედაპირზე ფუნჯით დატანისას:
დაახლ. 80-100 მლ/მ²

უხეშ ზედაპირზე ფუნჯით დატანისას:
დაახლ. 80-100 მლ/მ²

გამოყენების პირობები

მასალის, ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ +8 °C.

შრობის დრო

20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში*	მტვერის მიმართ მედეგი	შეხებით მშრალი	მომდევნო ფენის დატანისთვის მზად
საათები	0,3-0,5	2-3	6-8

შენიშვნები

უსაფრთხოების ნორმები

მოარიდეთ ბავშვებს! მუშაობისას იზრუნეთ საკმარის განიავებაზე. არ ჭამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობის დროს. კანთან ან თვალებთან კონტაქტისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყალსაცავებში ან ნიადაგში მოხვედრა. ხელსაწყოები გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით და საპნით. საშლიფი სამუშაოებისას გამოიყენეთ მტვრის ფილტრი P2. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი". გამოიყენეთ კომბინირებული ფილტრი A2/P2. **შეიცავს:** 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონს. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. შეფუთვა პროდუქტის თხევადი ნარჩენით, ჩააბარეთ წყალდისპერსიული საღებავების მიმღებ პუნქტში, ხოლო მყარი ნარჩენი როგორც სამშენებლო ან საყოფაცხოვრებო ნაგავი.

VOC
(აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/e): 130 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 30 გ/ლ აქროლებად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

პროდუქტის კოდი

M-KH01

შემადგენლობა

პოლიურეთან-აკრილის ფისი, პიგმენტები, წყალი, გლიკოლი, ეთერი, ადიტივები, კონსერვანტები (Methyl-/Benzisothiazolinon).

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge